მაია კობახიძისთვის რაიონული საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ხელმძღვანელების შესარჩევი კომისიის საქმიანობის კრიტიკა მიუღებელია

12:35 30-06-2013

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტი, მაია კობახიძე აცხადებს, რომ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რაიონული საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ხელმძღვანელების შესარჩევი კომისიის საქმიანობის კრიტიკა მიუღებელია.

როგორც მაია კობახიძის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რაიონული საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ხელმძღვანელების შესარჩევი კომისიის მუშაობის პირველი ეტაპის დასრულების შემდგომ კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი მოსაზრებები გამოითქვა. მისი თქმით, ცალკეულმა პირებმა კომისიის გადაწყვეტილების კომპეტენტურობა და ობიექტურობა ეჭქვეშ დააყენეს.

"ჩემთვის, როგორც კომისიის ერთ-ერთი წევრისათვის მიუღებელია საკითხის ასეთ ჭრილში განხილვა. მეც და კომისიის სხვა წევრებმაც ღრმად გავაანალიზეთ კომისიის მუშაობის ფორმატი და შედეგები. ვერ დავეთანხმები მოსაზრებებს, რომ კომისია იღებდა არაკომპეტენტურ გადაწყვეტილებებს. კომისიის ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა გასაუბრების გზით შეგვერჩია ღირსეული კანდიდატურები იმ აპლიკანტებს შორის, რომელთაც წარმატებით გაიარეს ტესტირება. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ყველა კონკურსანტი ღირსეული კანდიდატურა იყო. ჩვენ, მათ შორის შევარჩიეთ საუკეთესონი და თუ რომელიმე მათგანმა ვერ შეძლო თავისი შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენა, ეს კომისიის არაობიექტურობის შედეგი არ არის. ჩვენი საქმიანობის ძირითად პრინციპს წარმოადგენდა, კომისიის მუშაობაში, გამოგვერიცხა ყოველგვარი გარედან ჩარევა და არ დაგვეშვა პოლიტიკური ნიშნით კანდიდატურების შერჩევა. ვფიქრობ, ეს ორივე ამოცანა შესრულებულია", - აღნინა მაია კობახიძემ.

მისივე განმარტებით, ყველა კანდიდატურას ჰყავდა თავისი მხარდამჭერები რაიონებში და იმ რაიონებში, სადაც მოქმედი საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელმა გაიმარჯვა, გარკვეული მოსახლეობის ერთი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია.

"ხოლო, იმ რაიონებში, სადაც რიგითმა მასწავლებლებმა გაიმარჯვეს კონკურსში, წამოვიდა კრიტიკის ნიაღვარი, "როგორ შეიძლება რიგითი პედაგოგი გახდეს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღანელი". ასეთი ბევრი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია და მიგვაჩნია, რომ ეს ბუნებრივი პროცესია.

აღვნიშნავ, რომ კომისიის ყველა გადაწყვეტილება მიღებულია მაქსიმალური ობიექტურობის დაცვით, კომისიის თითოეული წევრის არგუმენტირებული მოსაზრებების გათვალისწინებით, ბევრი განსჯისა და კამათის შედეგად, რის შესახებაც არსებობს დოკუმენტაცია. კრიტიკას კომისიის ტენდენციურობისა და არაობიექტურობის შესახებ ვერ გავიზიარებთ", - დასძინა კობახიძემ.